

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: მათემატიკა, Mathematics

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მათემატიკის მაგისტრი, MSc in Mathematics

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:

- უ.გოგინავა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი
- დ.გორდეზიანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი
- თ.ვაშაყმაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი
- თ.თადუმაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი
- ე.ნადარაია, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი
- რ.ომანაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მათემატიკის, სტატისტიკის, გამოყენებითი მათემატიკის, გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის ან სხვა მონათესავე დარგის სპეციალობით;
- სამაგისტრო პროგრამაზე დაშვება მოხდება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდისა და სპეციალობაში გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი

- მისცეს მაგისტრს თანამედროვე მიღწევათა შესაბამისი საფუძვლიანი განათლება მათემატიკაში;
- გამოუმუშავოს მას სამეცნიერო კვლევასა და სხვადასხვა პრაქტიკულ პრობლემათა გადაჭრაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების უნარი.

შედეგი

მაგისტრს უნდა შეეძლოს:

- სპეციალიზაციის შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურის წაკითხვა და გარჩევა;
- მათემატიკური შედეგების ლოგიკურად გამართული სახით ჩამოყალიბება ზეპირი და წერილობითი ფორმით;
- მეცნიერული კვლევის წარმოება სპეციალიზაციის მიმართულებით;
- დასმული (არა მხოლოდ მათემატიკური) ამოცანის არსის ჩაწვდომა და მისი აბსტრაგირება;
- რეალური ცხოვრებიდან აღებულ სიტუაციათა მათემატიკური მოდელირება;
- ინფორმაციის მოწესრიგება, ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გაკეთება;
- მიღებული ცოდნის გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადაჭრისას.

დასაქმების სფეროები

განათლება, მეცნიერული კვლევა, მრეწველობა, ბიზნესი, საბანკო და საფინანსო სფერო, სახელმწიფო სტრუქტურები.